

აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის

2022 წლის პროგრამული ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

აჭარის(ზემო აფხაზეთის)მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურებიდან და გამგეობის მიერ დაფუნდებული ა(ა)იპ-ებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, პროგრამების დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში). ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით განხორციელებული ღონისძიებების აღწერის და მიღწეული შედეგების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიური მაჩვენებლების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

I თავი.

2022წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები ასეთია:

ცხრილი #1

დასახელება	2021წლის ფაქტი	2022წლის გეგმა			2022წლის .ფაქტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	1110.40	1223.00	35.00	1188.00	1223.50	35.00	1188.50
გადასახადები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
გრანტები	1110.00	1223.00	35.00	1188.00	1223.00	35.00	1188.00
სხვა შემოსავლები	0.40	0.00	0.00	0.00	0.50	0.00	0.50
ხარჯები	1138.40	1261.40	35.00	1226.40	1256.80	35.00	1221.80
შრომის ანაზღაურება	528.60	631.90	34.00	597.90	631.50	34.00	597.50
საქონელი და მომსახურება	109.30	128.30	0.00	128.30	126.60	0.00	126.60
სუბსიდიები	88.70	103.30	0.00	103.30	101.50	0.00	101.50
გრანტები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00

სოციალური უზრუნველყოფა	279.40	267.10	1.00	266.10	266.80	1.00	265.80
სხვა ხარჯები	132.40	130.80	0.00	130.80	130.40	0.00	130.40
საოპერაციო სალდო	-28.00	-38.40	0.00	-38.40	-33.30	0.00	-33.30
არაფინანსური აქტივების ცვლილება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ზრდა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
კლება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
მთლიანი სალდო	-28.00	-38.40	0.00	-38.40	-33.30	0.00	-33.30
ფინანსური აქტივების ცვლილება	-28.00	-38.40	0.00	-38.40	-33.30	0.00	-33.30
ზრდა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
კლება	28.00	38.40	0.00	38.40	33.30	0.00	33.30
ვალუტა და დეპოზიტები	28.00	38.40	0.00	38.40	33.30	0.00	33.30
ვალდებულებების ცვლილება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ზრდა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
კლება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ბალანსი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00

შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფორმა

ცხრილი#2

დასახელება	2021წლის ფაქტი	2022წლის გეგმა			2022წლის .ფაქტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	1110.40	1223.00	35.00	1188.00	1223.50	35.00	1188.50

გრანტები	1110.00	1223.00	35.00	1188.00	1223.00	35.00	1188.00
სხვა შემოსავლები	0.40	0.00	0.00	0.00	0.50	0.00	0.50
ხარჯები	1138.40	1261.40	35.00	1226.40	1256.80	35.00	1221.80
არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ფინანსური აქტივების ცვლილება(ნაშთის გამოკლებით)	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ვალდებულებების კლება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ნაშთის ცვლილება	-28.00	-38.40	0.00	-38.40	-33.30	0.00	-33.30

2022წლის 01 იანვრისათვის ნაშთი შეადგენდა -38497ლ37თეთრი.01.01.2023წლისათვის ნაშთი აჟარის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ნაშთი შეადგენს- 5,336.99ლარს

ნაშთი პერიოდის დასაწყისში	დებიტი	კრედიტი	ნაშთი პერიოდის ბოლოს
38,497.37	1,226,281.99	1,259,442.37	5,336.99

**შემოსულობები**

სახეობების მიხედვით შემოსულობების შესრულება შემდეგნაირია:

ცხრილი #3

დასახელება	კოდი	2021წლის ფაქტი	2022წლის გეგმა			2022წლის ფაქტი			შესრულება გეგმის მიმართ %
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
შემოსულობები		1110.40	1223.00	35.00	1188.00	1223.50	35.00	1188.50	100.04
შემოსავლები		1110.40	1223.00	35.00	1188.00	1223.50	35.00	1188.50	100.04

არაფინანსური აქტივების კლება		0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
შემოსავლები	1.00	1110.40	1223.00	35.00	1188.00	1223.50	35.00	1188.50	100.04
გადასახადები	11.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
გრანტები	13.00	1110.00	1223.00	35.00	1188.00	1223.00	35.00	1188.00	100.00
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133.00	1110.00	1223.00	35.00	1188.00	1223.00	35.00	1188.00	100.00
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1311.00	1110.00	1223.00	35.00	1188.00	1223.00	35.00	1188.00	100.00
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად		30.00	35.00	35.00	0.00	35.00	35.00	0.00	100.00
სპეციალური ტრანსფერი სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად		1080.00	1188.00	0.00	1188.00	1188.00	0.00	1188.00	100.00
სხვა შემოსავლები	14.00	0.40	0.00	0.00	0.00	0.50	0.00	0.50	0.00
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	142299.00	0.40	0.00		0.00	0.50		0.50	0.00
არაფინანსური აქტივების კლება	31.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00

### შემოსავლები

აჭარის(ზემო აფხაზეთის)მუნიციპალიტეტის 2022 წლის დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 1223,0ათასი ლარი ფაქტიურად 1223,5ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 100,04% -ია.

I გადასახადების სახით ბიუჯეტში 2022წელს აჭარის ბიუჯეტში თანხები არ შემოსულა.

### II გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში მიღებულიქნა 1223,0 ათასი ლარი, მათ შორის: სპეციალური ტრანსფერი \_ 1188,0 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 35,0 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 100%-ით.

III სხვა შემოსავლები

2022წელს სხვა შემოსავლების სახით ბიუჯეტში თანხები შემოსულია შეცდომით 490ლარი მოსაკრებელი გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე, რომელიც ვერ ჩაითვლება აქარის მუნიციპალიტეტის შემოსავლად, წლის განმავლობაში ხაზინა გაასწორებს ჩარიცხვას.

IV არაფინანსური აქტივები

მიმდინარე პერიოდში ადგილობრივ ბიუჯეტში ამ მუხლით თანხები არ შემოსულა.

V ფინანსური აქტივები

2022წელს ფინანსური აქტივების შემოსვლა ბიუჯეტში არ ყოფილა.

VI ვალდებულებების ცვლილება

2022წელს დაუკმაყოფილებელი ვალდებულებები ანგარიშზე არ წარმოშობილა.

**გადასახდლები**

აქარის(ზემო აფხაზეთის)მუნიციპალიტეტის დაზუსტებული ბიუჯეტის 2022 წლის გადასახდლების დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებელი განისაზღვრა 1261.40 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო გადასახდლების საკასო შესრულებამ შეადგინა 1,156,8ათასი ლარი, გეგმასთან მიმართებაში შესრულებამ შეადგინა-99.64%.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის ფუნქციონალურ ჭრილში - ხარჯები და არაფინანსური აქტივების გეგმის შესრულება ასე გამოიყურება:

ცხრილი #4

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2021ლის ფაქტი	2022წლის გეგმა			2022წლის ფაქტი			შესრულება გეგმის მიმართ %
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	600.50	722.30	0.00	722.30	720.30	0.00	720.30	99.72

7011	ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	600.50	722.30	0.00	722.30	720.30	0.00	720.30	99.72
70111	ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	600.50	722.10	0.00	722.10	720.30	0.00	720.30	99.75
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.00	0.20	0.00	0.20	0.00	0.00	0.00	0.00
702	თავდაცვა	31.20	34.00	34.00	0.00	34.00	34.00	0.00	100.00
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
704	ეკონომიკური საქმიანობა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
705	გარემოს დაცვა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	0.00	1.50	0.00	1.50	1.50	0.00	1.50	100.00
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0.00	1.50	0.00	1.50	1.50	0.00	1.50	100.00
707	ჯანმრთელობის დაცვა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	65.00	71.70	0.00	71.70	69.60	0.00	69.60	97.07
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	33.40	39.60	0.00	39.60	38.10	0.00	38.10	96.21
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	31.60	32.10	0.00	32.10	31.50	0.00	31.50	98.13
709	განათლება	36.60	43.90	0.00	43.90	43.90	0.00	43.90	100.00
7091	სკოლამდელი აღზრდა	36.60	43.90	0.00	43.90	43.90	0.00	43.90	100.00
710	სოციალური დაცვა	405.10	388.00	1.00	387.00	387.50	1.00	386.50	99.87

7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	94.30	92.30	0.00	92.30	92.00	0.00	92.00	99.67
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	39.00	37.80	0.00	37.80	37.80	0.00	37.80	100.00
7103	ოშში დაღუპულ პირთა ოჯახების სოციალური დაცვა	14.50	13.00	0.00	13.00	13.00	0.00	13.00	100.00
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	51.00	50.40	0.00	50.40	50.30	0.00	50.30	99.80
7107	სოციალური დახმარებები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	183.30	180.00	0.00	180.00	179.90	0.00	179.90	99.94
7109	დევენილი ოჯახებისთვის დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურება	23.00	14.50	1.00	13.50	14.50	1.00	13.50	100.00
	სულ	1138.4	1261.4	35.00	1226.40	1256.80	35.00	1221.80	99.64

არაფინანსური აქტივების ცვლილება(ზრდა, კლება)2022წლის ბიუჯეტით არაფინანსური აქტივების ცვლილებას(ზრდა,კლება)ადგილი არ ჰქონია.

ფინანსური აქტივების(ნაშთის) კლება

ცხრილი #5

დასახელება	2021წლის ფაქტი	2022წლის გეგმა		2022წლის .ფაქტი			
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები


ფინანსური აქტივების ცვლილება	-28.00	-38.40	0.00	-38.40	-33.30	0.00	-33.30
ზრდა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
კლება	28.00	38.40	0.00	38.40	33.30	0.00	33.30
ვალუტა და დეპოზიტები	28.00	38.40	0.00	38.40	33.30	0.00	33.30

2022 წელს ფულადი სახსრების (ნაშთის) გამოყენებამ შეადგინა 33,3 ათასი ლარი, ხოლო ფულადი სახსრების დაგროვებამ - 5,3 ათასი ლარი.

## II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

### 2020წლისა და 2022წლის გადასახდელების გეგმების შესრულების შედარება

ცხრილი #6



2020წლიდან 2022წლამდე დაფინანსება იზრდებოდა ძირითადად შრომის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული ტრანსფერის გაზრდის ხარჯზე.

ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების შესრულება 2022წელს ასე გამოიყურება:


ცხრილი #7

დასახელება	2021წლის ფაქტი	2022წლის გეგმა		2022წლის .ფაქტი	
		სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის



გადასახდელები	1138.40	1261.40	35.00	1226.40	1256.80	35.00	1221.80
ხარჯები	1138.40	1261.40	35.00	1226.40	1256.80	35.00	1221.80
შრომის ანაზღაურება	528.60	631.90	34.00	597.90	631.50	34.00	597.50
საქონელი და მომსახურება	109.30	128.30	0.00	128.30	126.60	0.00	126.60
სუბსიდიები	88.70	103.30	0.00	103.30	101.50	0.00	101.50
გრანტები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სოციალური უზრუნველყოფა	279.40	267.10	1.00	266.10	266.80	1.00	265.80
სხვა ხარჯები	132.40	130.80	0.00	130.80	130.40	0.00	130.40

გადასახდელების წილობრივი ხარჯი მთლიან ბიუჯეტში ასე გამოიყურება:




აჭარის(ზემო აფხაზეთის)მუნიციპალიტეტის 2022წლის ბიუჯეტით დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო შემდეგი პრიორიტეტების დაფინანსება:

ცხრილი #8

პროგრამული კოდი	დასახელება	გეგმა 2022წ ლარში	ხარჯი 2022წ ლარში	შესრულება წლიური გეგმის მიმართ %
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	756,300.00	754,374.48	99.75%

02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,500.00	1,500.00	100.00%
03 00	განათლება	43,900.00	43,900.00	100.00%
04 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	71,700.00	69,585.55	97.05%
05 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	388,000.00	387,395.78	99.84%



**1. მმართველობითი ორგანოების დაფინანსება**

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება 2022 წელს დაფინანსდა 754.4 ათასი ლარით, გეგმით გათვალისწინებული იყო 756,3 ათ.ლარი. შესრულება -99,75%

ცხრილი #9

	აქარის მუნიციპალიტეტი	გეგმა 2022წ	ხარჯი 2022წ	შესრულება წლიური

ორგანიზაციული კოდი	კოდი	დასახელება	სულ	სულ	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე	თვითმართვლობის სარეზერვო ფონდი	მიზნობრივი ტრანსფერი	გეგმის მიმართ %
01 00	00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	756,300.00	754,374.48	720,397.68		33,976.80	99.75%
	2	ხარჯები	756,300.00	754,374.48	720,397.68		33,976.80	99.75%
	2.1	შრომის ანაზღაურება	631,833.00	631,415.41	597,438.61		33,976.80	99.93%
	2.2	საქონელი და მომსახურება	117,980.00	116,675.48	116,675.48			98.89%
	2.7	სოციალური უზრუნველყოფა	6,137.00	6,136.09	6,136.09			99.99%
	2.8	სხვა ხარჯები	350.00	147.50	147.50			42.14%
01 01 01	00	მუნიციპალიტეტის საკრებულო	287,360.00	287,335.08	287,335.08			99.99%
	2	ხარჯები	287,360.00	287,335.08	287,335.08			99.99%
	2.1	შრომის ანაზღაურება	239,270.00	239,250.00	239,250.00			99.99%
	2.2	საქონელი და მომსახურება	48,090.00	48,085.08	48,085.08			99.99%
01 01 02	00	მუნიციპალიტეტის გამგეობა	434,740.00	433,062.60	433,062.60			99.61%
	2	ხარჯები	434,740.00	433,062.60	433,062.60			99.61%
	2.1	შრომის ანაზღაურება	358,563.00	358,188.61	358,188.61			99.90%
	2.2	საქონელი და მომსახურება	69,890.00	68,590.40	68,590.40			98.14%
	2.7	სოციალური უზრუნველყოფა	6,137.00	6,136.09	6,136.09			99.99%
	2.8	სხვა ხარჯები	150.00	147.50	147.50			98.33%
01 01 03	00	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამადლების ხელშეწყობა	34,000.00	33,976.80			33,976.80	99.93%
	2	ხარჯები	34,000.00	33,976.80			33,976.80	99.93%
	2.1	შრომის ანაზღაურება	34,000.00	33,976.80			33,976.80	99.93%

01 02	00	საერთო დანიშნულების ხარჯები	200.00					0.00%
	2	ხარჯები	200.00					0.00%
01 02 02	00	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების ფონდი	200.00					0.00%
	2	ხარჯები	200.00					0.00%

2022წელს აჭარის(ზემო აფხაზეთის)მუნიციპალიტეტის საკრებულოს (კოდი 01 01 01) ხარჯების გეგმა 287,4ათ.ლარით, შესრულებამ შეადგინა 287,3ათ.ლარი გეგმა შესრულდა 99,9%-ით

ხოლო გამგეობის (კოდი 01 01 02) ხარჯების გეგმა- 434,7ათ.ლარი შესრულებამ შეადგინა 433,1ათასი ლარი, შესრულება 99,61%-ს შეადგენს.

სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის გეგმა - (კოდი 01 01 03)-34,0ათ.ლარი, შესრულება 34,0ათ.ლარი. მ.შ. დაფინანსდა მიზნობრივი ტრანსფერით -34,0ათ.ლარით. შესრულება -100%,

**სარეზერვო ფონდი(კოდი01 02 01)** 2022წელს სარეზერვო ფონდი გათვალისწინებული იყო 3,5ათ.ლარის ოდენობით. თანხა გადაერიცხათ წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად შემდეგ ბენეფიციარებს სოციალური დახმარების სახით: ცხრილი #10

2022 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების შესახებ				
N	ბრძანების თარიღი და ნომერი	შინაარსი	ბრძანებით გამოყოფილი თანხა ლარში	გადარიცხული თანხა ლარში
1	20/04/2022წ #2-49	ხანძრისგან დაზარალებული ზაურ ქალდანისთვის(პ/ნ 62004014731) სოციალური დახმარების გაწევის მიზნით	1,000.00	1,000.00
2	11/05/02022წ #2-54	უხვი ნალექისა და სეტყვისგან დაზარალებული ოჯახისთვის მზიანა ვიბლიანისთვის (62004017879) გაწეული სოციალური დახმარება	1000	1000
3	20/05/2022წ #2-57	ნიკოლოზ გუჯეჯიანს(62002007258) გაეწია სოციალური დახმარება, სამედიცინო კვლევების დაფინანსების მიზნით	1500	1500
	სულ		3,500.00	3,500.00

**წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო აღსრულების (კოდი 01 02 02)** აჭარის(ზემო აფხაზეთის)მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 200ლარი. ფონდიდან 2022წელს ხარჯი არ გაწეულა. მუნიციპალიტეტს გასული წლების დავალიანებები არ ჰქონია

**2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)**

საბინაო-კომუნალური მეურნეობის თანადაფინანსება (კეთილმოწყობის ღონისძიებები დევნილთა ჩასახლებებში 03 01)

აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით საბინაო-კომუნალური მეურნეობის თანადაფინანსებაში ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 4000 ლარი, ბიუჯეტის დაზუსტებისას, მოხდა აღნიშნული თანხის შემცირება ვინაიდან ნოემბრის თვემდე მსგავს თანადაფინანსებაზე მხოლოდ ერთი განცხადება იყო შემოსული 1500ლარზე, რაც გაიხარჯა თეთრიწყაროს რაიონის სოფ.კოდაში ჩასახლებული დევნილების თხოვნით.

2022 წლის 21 ნოემბრის №55 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტმა უზრუნველყო ლიეტუვას რესპუბლიკაში არსებული ორგანიზაცია „UAB სოლეტ ტექნიკის“ მხარდაჭერით, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. კოდის დევნილთა დასახლებაში მიმდინარე პროექტის (375 კვტ სიმძლავრის მზის ელექტროსადგურების მოწყობა) ფარგლებში, მზისპანელების განთავსების ადგილის მოწყობის მიზნით, შესაბამისი სპეცტექნიკის დაქირავება. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით შეადგენდა 1500.00 (ათასხუთასი ლარი 00 თეთრი) ლარს.

აქვე მოგახსენებთ, რომ პროექტი განხორციელდა ერედვისა და ქურთის მუნიციპალიტეტების თანადაფინანსებით.

ცხრილი #11

ორგანიზაციული კოდი	კლასიფიკაციის კოდი	დასახელება	წლიური გეგმა	წლიური ხარჯი	შესრულება წლიური გეგმის მიმართ %
02 01	00	საბინაო-კომუნალური მეურნეობის თანადაფინანსება(კეთილმოწყობის ღონისძიებები დევნილთა ჩასახლებებში)	1,500.00	1,500.00	100.00
	2	ხარჯები	1,500.00	1,500.00	100.00
	2.8	სხვა ხარჯები	1,500.00	1,500.00	100.00
	2.8.2	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	1,500.00	1,500.00	100.00
	2.8.2.2	კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	1,500.00	1,500.00	100.00

**შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები:**

მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> <li>მოსახლეობის მოტივაციის გაზრდა მსგავსი პროექტების შექმნისა და დაფინანსების მოპოვების მიზნით;</li> <li>დევნილი ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება;</li> </ul>					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესრულება დაზუსტებული გეგმის მიხედვით	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)

1	იმ დევნილი ოჯახების, პირების რაოდენობა, რომლებიც მიიღებენ აღნიშნულ თანადაფინანსებას	2021წელს პანდემიის გამო ამ მუხლით ხარჯი არ გაწეულა	2022წელს შემოსული განცხადება 20 ოჯახის 1 განცხადება	100%	
---	---	--	---	------	--

**3. განათლება (პროგრამული კოდი 03 00)**

ცხრილი #12

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	გეგმა 2022წ	შესრულება 2022წ	შესრულება %	
03 00	00	განათლება	43,900.00	43,900.00	100.00
	2	ხარჯები	43,900.00	43,900.00	100.00
	2.5	სუბსიდიები	43,900.00	43,900.00	100.00
03 01	00	ა(ა)იპ - სოფელ აჟარის საბავშვო ბაღი	43,900.00	43,900.00	100.00
	2	ხარჯები	43,900.00	43,900.00	100.00
	2.5	სუბსიდიები	43,900.00	43,900.00	100.00

აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ა(ა)იპ „აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის აჟარის საბავშვო ბაღი“ ფუნქციონირებს თეთრიწყაროს რ-ნი სოფელ წინწყაროს საბავშვო ბაღთან ერთად, ემსახურება ამ სოფელში კომპაქტურად ჩასახლებული დევნილი მოსახლეობის ბაღის ასაკის აღსაზრდელებს, ასევე ინარჩუნებს და ასაქმებს კადრებს ზემო აფხაზეთში დაბრუნებამდე.

2022 წლის მანძილზე ა(ა)იპ „აჟარის საბავშვო ბაღი“ სრული დატვირთვით მუშაობდა და ეწეოდა სააღმზრდელო პროცესს.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „აჟარის საბავშვო ბაღი“-ს 2022 წლის მთლიანი სუბსიდია 2022 წლის 10 იანვრის N01 სუბსიდირების შესახებ ხელშეკრულების მიხედვით შეადგენს 43900.00 (ორმოცდასამიათას ცხრაასი ლარი 00 თეთრი) ლარს. ხოლო 2022 წლის ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა **43920 (ორმოცდასამიათას ცხრაას ოცი ლარი 00 თეთრი)** ლარი, ხელფასისთვის საჭირო ყოველთვიური სარგოს ოდენობისთვის (3660 ლარი, რომელიც 12 თვეზე შეადგენს 43920 ლარს) ხელშეკრულებით გაწერილი თანხის ოდენობა, რომელიც 20 ლარით ნაკლები თანხით იქნა განსაზღვრული, ინფორმაციის მიწოდებითა და შეთანხმების საფუძველზე საბავშვო ბაღის საბანკო ანგარიშზე არსებული ნაშთიდან იქნა დამატებული და გამოყენებული.

**აღნიშნული თანხა 2022 წლის განმავლობაში გახარჯულია შემდეგნაირად:**

1. შტატით მომუშავეთა ანაზღაურება - 7800 (შვიდიათას რვაასი ლარი 00 თეთრი) ლარი:
  - ბაღის დირექტორი - ვიოლეტა წიფიანის შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 7800 (შვიდიათას რვაასი ლარი 00 თეთრი) ლარი;
2. შტატგარეშეთა ანაზღაურება - 35400 (ოცდათხუთმეტიათას ოთხასი ლარი 00 თეთრი) ლარი:

➤ 2022 წლის 10 იანვრის №1 შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული პირი - ეკა სიდიანი დანიშნული გახლავთ აქარის საბავშვო ბაღში აღმზრდელის პოზიციაზე, აღსაზრდელთა 3 წლიანების ჯგუფში, რისთვისაც 2022 წლის მანძილზე ანაზღაურება მიიღო 7200 (შვიდიათას ორასი ლარი 00 თეთრი) ლარი;

➤ 2022 წლის 10 იანვრის №2 შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული პირი - მარინა კვიციანი, რომელიც დანიშნულია აღმზრდელის პოზიციაზე და ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას ბავშვთა 5-6 წლიანების ჯგუფში, 2022 წლის განმავლობაში მისმა ანაზღაურებამ შეადგინა 7200 (შვიდიათას ორასი ლარი 00 თეთრი) ლარი;

➤ 2022 წლის 10 იანვრის №3 შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული პირი - მზევინარ პაკელიანი, რომელიც დანიშნული გახლავთ აქარის საბავშვო ბაღში ძიძის პოზიციაზე 5-6 წლიან ჯგუფში, 2022 წლის მანძილზე მისმა ანაზღაურებამ შეადგინა 6600 (ექვსიათას ექვსასი ლარი 00 თეთრი) ლარი;

➤ 2022 წლის 10 იანვრის №4 შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულ პირ - რიმა ჩხეტიანი, რომელიც დანიშნულია აქარის საბავშვო ბაღში აღმზრდელის პოზიციაზე ბავშვთა 3-4 წლიან ჯგუფში, 2022 წელს გაწეული შრომისთვის ანაზღაურება მიიღო 7200 (შვიდიათას ორასი ლარი 00 თეთრი) ლარი;

➤ 2022 წლის 10 იანვრის №5 შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულ პირ - მადონა ჩხვიმიანი, რომელიც დანიშნულია აქარის საბავშვო ბაღში აღმზრდელის პოზიციაზე 5 წლიანების ჯგუფში, 2022 წლის განმავლობაში შესრულებული სამსახურისთვის მიიღო 7200 (შვიდიათას ორასი ლარი 00 თეთრი) ლარი.

**3. დაგროვებით საპენსიო ფონდში დამსაქმებლის მიერ გადახდილმა თანხამ 2022 წლის განმავლობაში შეადგინა 720 (შვიდასოცი) ლარი;**

4. საბანკო ხარჯმა 2022 წელს შეადგინა - 5.9 (ხუთი ლარი 90 თეთრი) ლარი.

5. 20 ლარი საბანკო ნაშთიდან ხელფასის საჭიროებისთვის.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ა(ა)იპ „აქარის საბავშვო ბაღის“ საბოლოო ნაშთია 8.66 (რვა ლარი 66 თეთრი) ლარი.

#### **შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- საბავშვო ბაღში მიმდინარე რეფორმის მიმართ დადებითად განწყობილ მშობელთა რაოდენობა;
- მოზარდთა რაოდენობა , რომელთაც ისარგებლეს მომსახურებით.
- საბავშვო ბაღში მომუშავე 6 დევნილი პედაგოგის დასაქმება და მათზე გაწეული ხარჯი ;

#### **შუალედური შედეგები:**

- საბავშვო ბაღში გაუმჯობესებული სააღმზრდელო პროცესი;
- საბავშვო ბაღში დასაქმებულთა მოტივაზიის გაზრდა;
- საბავშვო ბაღში მიმდინარე რეფორმის მიმართ დადებითად განწყობილ მშობელთა რაოდენობა;
- 50-მდე მოზარდი , რომელთაც ისარგებლეს მომსახურებით.
- საბავშვო ბაღში მომუშავე 6 დევნილი პედაგოგის დასაქმება და მათზე გაწეული ხარჯი -36,6ათ.ლარი.

-სტრუქტურის შენარჩუნება აფხაზეთში დაბრუნებამდე

**საბოლოო შედეგები:**

ბავშვების განვითარებაზე (აღზრდა-განათლება) ორიენტაცია, თემატურ მიმართულებებზე მუშაობა, მათ შორის: ხელოვნების და წიგნიერებისადმი სიყვარულის დანერგვა. ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება ადრეულ ასაკში.

**4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი(პროგრამული კოდი 04 00)**

„აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის 2022 წლის კულტურული და სპორტული ღონისძიებების პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის 2021 წლის 27 დეკემბრის №36 განკარგულებით 2022 წლის ბიუჯეტის მიზნობრივი პროგრამის (ქვეპროგრამის) (პროგ.კოდი 04 00) შესაბამისად 2022 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი სპორტული ღონისძიებები(04 01 01 ) და კულტურული ღონისძიებები (04 02 01):

ცხრილი #13

სახაზინო კოდი	დასახელება	2022წლის დამტკიცებული გეგმა	2022წლის დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკასო შესრულების % დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	განმარტება იმ პროგრამულ კოდებზე, რომელთა დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობა აღემატება 30%
04 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	81800	71650	69490	96.99	0
	ხარჯები	81800	12250	11990	97.88	
	სუბსიდიები	0	59400	57500	96.80	
04 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	8600	8600	8400	97.67	
მ.შ.	ხარჯები	8600	8600	8400	0.00	
1	ლაშქრობა	310			0.00	
2	მაგიდის ჩოგბურთი	410	200	0	0.00	
3	ფეხბურთი	4240	4875	4875	100.00	
4	ჭიდაობა(თავისუფალი)	1890	600	600	0.00	
5	ჭიდაობა ძიუდო	1330	2225	2225	100.00	
6	წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოვება	420	1300	1300	100.00	



04 01 02 01	ა(ა)იპ აჭარის სპორტ- სკოლა	31000	31000	29700	95.81	
	ხარჯები	31000	31000	29700	95.81	
	სუბსიდიები	31000	31000	29700	95.81	
04 02 01	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	9400	3650	3590	98.36	
1	1993-98წლებში დაღ. მიძღვნილი აქცია	150	150	150	100.00	
2	ბავშვთა დაცვის დღე	2100	0		0.00	
3	დედაენის დღე	350	330	330	100.00	
4	ერუდიტი	2960	2920	2860	97.95	
5	გასართობი ღონისძიება	0	0	0	0.00	
6	ეტალონი	3460	0	0	0.00	
7	სიმღერისა და ცეკვის ფესტივალი	400	250	250	100.00	
04 02 02 01	ა(ა)იპ აჭარის(ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის აჭარის კულტურის ცენტრი	32800	28400	27800	97.89	
	ხარჯები	32800	28400	27800	97.89	
	სუბსიდიები	32800	28400	27800	97.89	

აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის 2022 წლის კულტურული და სპორტული ღონისძიებების პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N36 განკარგულების შესახამისად მიმდინარე წლის 27 ივლისიდან 05 აგვისტოს ჩათვლით „ფეხბურთი“-ს და „თავისუფალი ჭიდაობა“-ს სექციების მოსწავლე ახალგაზრდები, თანმხლებ პირებთან ერთად ერთობლივი შეკრების მიზნით იმყოფებოდნენ დაბა გონიოში (ქ. ბათუმი) 17 ადამიანი, მათ შორის 14 სპორტსმენი და 3 თანმხლები პირი.

27 ივლისს გაემგზავრნენ ქ. თბილისიდან (დილის 09 საათზე ორთაჭალის ავტოსადგომიდან) გონიოში და 05 აგვისტოს (12 საათზე გამოსვლა) გონიოდან წამოვედნენ ქ. თბილისში, რომლის მომსახურება გაგვიწია ი/მ „დავით თავაძემ“ (21 ივლისის ხელშეკრულება N35) და რომლის საერთო ღირებულებამ შეადგინა 1700 (ათასშვიდასი) ლარი. ავტოსატრანსპორტო საშუალება იყო გამართული, 18 კაციანი და მაქსიმალურად კომფორტული.

გონიოში სასტუმროს მომსახურება გაგვიწია ი/მ „შაქრო ქოქოლაძე“-მ (26 ივლისს გაფორმებული N37 ხელშეკრულების შესახამისად) სამჯერადი კვებით (შესვლა 27 ივლისს, გამოსვლა 05 აგვისტოს), სულ 09 ღამე. სასტუმროს მომსახურება იყო ყველანაირად ორგანიზებული, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცული. კვება გახლდათ მრავალფეროვანი, ჯანსაღი, ზრდასრული ადამიანის ულუფებით, უსაფრთხო და გემრიელი, ბავშვები დარჩნენ კმაყოფილები. სასტუმროს მომსახურების ხარჯმა 16 ადამიანზე 3-ჯერადი კვებით შეადგინა 4800 (ოთხიათასრვაასი) ლარი.

აქვე მოგახსენებთ, რომ გონიოში ჩასვლის დღიდან ხდებოდა სპორტის მასწავლებლების მიერ თავიანთი მოსწავლეების ყოველდღიური დატვირთვა-ვარჯიში დილა-საღამოს, ერთმანეთს შორის შეთამაშებები და შიდა

შეჯიბრებები. ასევე გუნდებს შორის შეჯიბრებების ჩატარება. ერთობლივი შეკრების მიზანი რაც გახლდათ, სპორტის სექციების მოსწავლეების ერთობლივი წვრთნა, ვარჯიში და შესაბამისი ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა და სპორტ-სკოლაში გაწევრიანებული მოსწავლეების დაახლოება, ეს მიზანი მიღწეულ იქნა მაქსიმალურად.

სპორტული პროგრამების ხელშეწყობისა და დაფინანსებისთვის თანხა გამოყოფილიქნა გაგეობის მიერ 6500ლარი;

სპორტსკოლის ახალგაზრდებს ასევე დაუფინანსდათ ტრანსპორტირება ქ.ონში, ჭიდაობის ტურნირზე გამგზავრება, რაშიც გაიხარჯა 600ლარი;

პროგრამით გათვალისწინებული იყო წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოება, სამ სპორტსმენს გადაეცა 1300ლარი შემდეგნაირად:

2022 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული „წარმატებული სპორტსმენების მატერიალური დაჯილდოება“				
N	ბრძანების თარიღი და ნომერი	შინაარსი	ბრძანებით გამოყოფილი თანხა ლარში	გადარიცხული თანხა ლარში
1	04/07/2022წ #2-52	გიორგი ჯაბნიაშვილი (პ/ნ 16001032641) დაჯილდოვდა 300ლარით.2022წლის 19-20 მარტს გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე დაიკავა მე-2ადგილი	300	300
2	04/07/2022წ #2-52	ინა ქალდანი(01011089035) დაჯილდოვდა 2021წლის ზაფხულის პარაოლიმპიურ თამაშებზე პარამიუდოისტთა შორის დაკავებული მე-2 ადგილისთვის	500	500
3	07/11/2022წ #2-92	გიორგი ჯაბნიაშვილი (პ/ნ 16001032641) დაჯილდოვდა 2022წლის 05ივნისს ევროპის თასის ჩემპიონატზე დაიკავა მე-2ადგილი	500	500
	სულ		1300	1300

COVID-19 პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო ვერ შესრულდა ჩოგბურთის ტურნირისა და ლაშქრობის კვებპროგრამები.

სულ სპორტულ ღონისძიებებზე გათვალისწინებული იყო 8600ლარი, გაიხარჯა 8400ლარი, გეგმა შესრულდა 97.67%-ით.

**ა(ა)იპ „აჭარის სპორტ-სკოლა“ (ორგ. კოდი 04 01 02)**

ა(ა)იპ „აჭარის სპორტ-სკოლის“ ორგანიზებით ტარდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებები. სპორტ-სკოლაში ხორციელდება ზემო აფხაზეთიდან დევნილი მოსწავლე-ახალგაზრდების წვრთნა რამდენიმე სახის სპორტულ სახეობაში, კერძოდ, მაგიდის ჩოგბურთი, თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო და ფეხბურთში, რომლის საშუალებითაც ახალგაზრდები ჯანსაღი ცხოვრების წესს ეუფლებიან. 2022 წლის განმავლობაში, ა(ა)იპ „აჭარის სპორტ-სკოლი“-სთვის სუბსიდირების წესით გათვალისწინებული იყო 31000 ლარის ჩარიცხვა, სკოლაში დასაქმებულია 5 პედაგოგი, ხოლო გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 29700 ლარი, რაც მთლიანად გაიხარჯა ხელფასებზე მოქმედი სპორტსკოლის კოლექტივისათვის.

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმა	წლიური ბიუჯეტით დაზუსტებული გეგმა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები
04 01 02 01	ა(ა)იპ „აჭარის სპორტ-სკოლა“	31000	31000	29700	96%	0

**საანგარიშო პერიოდში, სპორტულ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:**

აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის 2022 წლის კულტურული და სპორტული ღონისძიებების პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის 2021 წლის 27 დეკემბერის №36 განკარგულების, 2022 წლის ბიუჯეტის მიზნობრივი პროგრამის (ქვეპროგრამის) (საბიუჯეტო კოდი 04 01 02 01) შესაბამისად 2022 წლის განმავლობაში ა(ა)იპ „აჭარის სპორტ-სკოლა“ მაქსიმალურად ახორციელებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

როგორც მოგეხსენებათ, სპორტ-სკოლა აერთიანებს ფეხბურთს, თავისუფალ ჭიდაობას, მიუდოს, სადაც სპორტის სახეობებს ეუფლებიან აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის სასკოლო ასაკის ბავშვები. 2022 წლის განმავლობაში დაკავებული გახლდათ სულ 40 მოსწავლემდე.

ა(ა)იპ „აჭარის სპორტ-სკოლის“ მოსწავლეები, რომლებიც წარმოადგენენ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს და საკუთარი საქმის პროფესიონალებს, შრომას და მონდომებას არ იშურებენ, რათა ახალგაზრდები, დაეუფლონ სპორტის ახალ ილეთებს, მუდმივად ხდებოდეს მათი ფიზიკური მომზადება და სპორტის სახეობების მიმართულებებით ახალი უნარების შეძენა და სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობის მისაღებად მათი ფიზიკური მომზადება.

სპორტ-სკოლის მოსწავლე ახალგაზრდები, სტაბილურად დადიოდნენ ვარჯიშებზე და რეგულაციების მაქსიმალური დაცვით უტარდებოდათ წვრთნები, ასევე, რამდენიმე გამართულ ტურნირში სპორტსმენებმა მიიღეს მონაწილეობა, მათ შორის:

➤ 2022 წლის 19 თებერვალს ბოლნისში გუნდურ ვარჯიშზე მონაწილეობა მიიღეს ზემო აფხაზეთის სპორტ-სკოლის გუნდი „კოდორი“-ს მონაწილეებმა:

1. ლუკა გურჩიანმა - 61 კგ. წონაში (03.03.2005წ);
2. გურჩიანმა ლუკამ - 55 კგ. წონაში 922.09.2007წ);
3. საბა გულბანმა - 42 კგ. წონაში(05.08.2012წ.);
4. გუგუსიანმა ლუკამ - 85 კგ. წონაში (22.03.2008წ.).

➤ ლისზე - მინდორაშვილის სახელობის დარბაზში, ერთობლივ ვარჯიშზე 2022 წლის 12 და 19 მარტს მონაწილეობა მიიღეს:

1. ლუკა გურჩიანმა- 61 კგ. წონაში (03.03.2005წ);
2. გურჩიანმა ლუკამ - 55 კგ. წონაში 922.09.2007წ);
3. საბა გულბანმა - 42 კგ. წონაში (05.08.2012წ.);

4. გუგუსიანმა ლუკამ - 85 კგ. წონაში (22.03.2008წ.);

5. ვიბლიანმა გიორგიმ - 38 კგ. წონაში (11.01.2014წ.).

- 2022 წლის 3-4-5 აპრილს, ქალაქ ხაშურში ჩატარდა საქართველოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობა მიიღო ლუკა გურჩიანმა 65 კგ. წონით კატეგორიაში.

მიუხედავად იმისა, რომ სპორტ-სკოლის მონაწილეების მიერ ვერ იქნა აღებული საპრიზო ადგილები, სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს და აჩვენეს კარგი შედეგები, ამასთანავე, ის მიზანი, რასაც აღნიშნული შეხვედრები ითვალისწინებს, სპორტსმენებში თავისუფალი ჭიდაობის პოპულარიზაციას, როგორც წესი მიიღწევა სპორტსმენების ჩართულობით.

სპორტსმენები, რომლებიც გადიოდნენ წვრთნას და მომზადებას ძიუდოში, ფლობენ ძიუდოს მეტ ტექნიკებს, მათი ფიზიკური ფორმა და განვითარება მეტად პროგრესირებადი გახდა და სპორტულმა მოტივაციამ იმატა თითოეულ მათგანში. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ გაიზარდა ინტერესი დევნილ ბავშვებში ძიუდოს მიმართ და მიმდინარე წელს ხდება სპორტსმენების აქტიური მატება, მხოლოდ პირველი კვარტლის მანძილზე დაგვემატა სამი ახალი მოსწავლე და მიმდინარე წლის მანძილზე ასევე ველოდებით ზრდას, ამ ეტაპზე სულ 8 მოსწავლე ვარჯიშობს.

მოგახსენებთ, რომ აჟარის სპორტ-სკოლის საფეხბურთო კლუბი „კოდორი“, რომელიც შედგება 18 მოსწავლე-სპორტსმენისგან, აქტიურად შეუდგა მიმდინარე წლის იანვრიდან ვარჯიშებს სრული დასწრებით წვრთნებზე და ჩაერთო გუნდურ შეხვედრებში პირველივე თვიდან.

უნდა მოგახსენოთ აქვე, რომ მოსწავლე-სპორტსმენები ძალიან დიდი ენთუზიაზმით, მონდომებით აქტიურობენ, ავლენენ თავიანთ სპორტულ უნარებსა და მონდომებას.

აქვე მოგახსენებთ, 2022 წლის პირველ კვარტალში ჩატარებულ ამხანაგურ შეხვედრებზე:

- 2022 წლის 16 იანვარს შედგა შეხვედრა საფეხბურთო კლუბ „კოდორსა“ და „თ.ს.ა“-ს შორის, რომელიც დასრულდა კლუბ „კოდორი“-ს გამარჯვებით, ანგარიშით 2:1;
- 2022 წლის 25 იანვარს ერთმანეთს შეხვდა კლუბი „იმედი“ და „კოდორი“, რომელი შეხვედრაც დასრულდა ფრედ, ანგარიშით 2:2;
- 2022 წლის 03 თებერვალს კლუბი „ედელვასის“ და „კოდორი“-ს შეხვედრა დასრულდა კვლავ ფრედ, ანგარიშით 1:1;
- 2022 წლის 10 თებერვალს კლუბი „კოდორი“ შეხვდა „სელერო“-ს, რაც დასრულდა ჩვენი გუნდის გამარჯვებით, ანგარიშით 2:0;
